# გარეჯის მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(252) 2021 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 1 ლარი

## ეს იქნება უმოკლესი გზა

### თბილისი-საგარეჯოს მაგისტრალს 463 მილიონად ჩინური და თურქული კომპანიები ააშენებენ



**კახეთში** ახალი 4-ზოლიანი მაგისტრალი უნდა აშენდეს. მშენებლობის პირველი ნაწილი თბილისიდან საგარეჯოს მიმართულებით 35.2-კილომეტრიან მონაკვეთზე ახალი გზის მოწყობას ითვალისწინებს. დღეს ცნობილი გახდა, რომ ამ გზის ძირითად - 31.5-კილომეტრიან მონაკვეთს ჩინური China Road and Bridge Corporation-ი და თურქული Gocay Insaat Taahhut ve Ticaret-ისა და “maqro qonsTraqSenis” კონსორციუმი 463.3 მილიონ ლარად ააშენებს. აღნიშნული გზის მონაკვეთის სატენდერო ღირებულება 575 მილიონი ლარი იყო და ის კომპანიების კონკურენციის შედეგად, 112 მილიონი ლარით 463 მილიონამდე შემცირდა.

გზის მონაკვეთი ორ ლოტად იყოფა, ესენია:

ლოტი №1 – ვაზიანი-საგარეჯოს 23.8-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 383.8 მილიონ ლარს შეადგენს. ტენდერში გამარჯვებულია China Road and Bridge Corporation-ი, რომელიც პროექტს 313.4 მილიონ ლარად ააშენებს, შესაბამისად, ერთი კილომეტრის გზის მშენებლობა ბიუჯეტს 13.2 მილიონი ლარი დაუჯდება. პირველი ლოტის მშენებლობა 30 თვეში უნდა დასრულდეს.

ლოტი №2 – საგარეჯოს შემოვლითი გზის 7.66 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 191.5 მილიონი ლარია. ტენდერში გამარჯვებულია Gocay Insaat Taahhut ve Ticaret-ისა და “maqro qonsTraqSenis” კონსორციუმი, რომელიც პროექტს 149.9 მილიონად ააშენებს. შესაბამისად, ერთი კილომეტრი გზის მშენებლობა ბიუჯეტს 19.6 მილიონი ლარი დაუჯდება. მეორე ლოტის მშენებლობა 24 თვეში უნდა დასრულდეს.

კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმება უახლოეს მომავალში უნდა მოხდეს. იქამდე კი მათ სახელმწიფოს სასარგებლოდ ტენდერის საგარანტიო თანხები უნდა ჩარიცხონ. ტენდერში მონაწილეობა სულ 9 სამშენებლო კომპანიამ მიიღო.

კახეთის ახალი მაგისტრალის მშენებლობა კიდევ ერთ მონაკვეთს, თბილისი-ვაზიანის შემოვლით 3.7-კილომეტრიან გზას მოიცავდა, რომლის კონტრაქტორის შერჩევისთვისაც 74.8 მილიონი ლარის სავარაუდო ღირებულებით ზაფხულში ტენდერი გამოცხადდა და მასში ოქტომბრის დასაწყისში კომპანია ეწ Road-მა გაიმარჯვა, რომელიც პროექტს 64 მილიონ ლარად ააშენებს.

სავარაუდოა, რომ მისი მშენებლობა 2022 წელს დასრულდეს.

## დანიშვნა

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

#### გიორგი ლალიაშვილი



**დაიბადა** 1971 წელს

**განათლება** - სამართალმცოდნეობის მაგისტრი

- 1993 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

**სამუშაო გამოცდილება** –- უცხოელი ექსპერტების ხელმძღვანელობით გაიარა სპეციალური მომზადება კორუფციისა და თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართულებით;

- მონაწილეობას იღებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და საგამოძიებო ორგანოებში რეფორმის მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში;

- კითხულობდა ლექციების კურსს სისხლის სამართალში უნივერსიტეტის დმანისის ფილიალში.

- 1993-1994 წლები – ქ. თბილისის პროკურატურა, სტაჟიორი;

- 1994-1999 წლებ. – ქ. თბილისის პროკურატურა, გამომძიებელი;

- 1999 – 2000 წლები – კახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი;

- 2000 – 2005 წლები – საგარეჯოს რაიონის პროკურორი;

- 2006–2008 წლები – თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი გამომძიებელი, შემდგომში რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე;

- 2008-2016 წლები – სააქციო საზოგადოება „ენერჯი ინვესტის“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

- 2017-2020 წლები – სააქციო საზოგადოება „რუსთავის აზოტი“ სამსახურის უფროსი;

- 2021 წლის იანვრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეა.

**ოჯახური მდგომარეობა** - ჰყავს მეუღლე ხათუნა ქვლივიძე და სამი შვილი.

## ნახევარსაუკუნოვანი მოლოდინის შემდეგ

### წესრიგდება ინფრასტრუქტურა

### გომბორში ცისფერი ალი აინთო

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მაღალმთიან გომბორის თემში გაზიფიცირებისთვის საჭირო სამუშაოები დასკვნით ფაზაშია.

ათეულობით წლის პრობლემა გადაჭრილია და რამდენიმე ოჯახს ბუნებრივი აირი უკვე მიეწოდება.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორისა და კოჭბაანის თემში გაზიფიცირების სამუშაოების პირველი ეტაპი განახორციელა.



სოფლების – გომბორის, ვერონას, ასკილაურის, სასადილოს, ოთარაანისა და პალდოს ათასამდე ოჯახი პირველად მიიღებს ბუნებრივ აირს.

სამუშაოები სოფელ ვერონადან დაიწყო.

მეორე ეტაპის სამუშაოებს კომპანია “სოკარჯორჯია” აგრძელებს და გაზიფიცირებისთვის დაქსელვა და გამრიცხველიანება, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის

## თათბირი

**16 ნოემბერი, 2021 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის 16 ნოემბრის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ახლადარჩეული ***მერი* ავთანდილ გულიკაშვილი,** ასევე ახლადდანიშნული ***მერის მოადგილეები* ემზარ კუჭუაშვილი** და **გიორგი ლალიაშვილი** უძღვებოდნენ.

თათბირის დასაწყისში ავთანდილ გულიკაშვილი მიესალმა თათბირის მონაწილეებს – მუნიციპალიტეტის სოფლებში მერის წარმომადგენლებსა და მერიის თანამშრომლებს და კიდევ ერთხელ წარუდგინა თავისი ახლადდანიშნული მოადგილე ემზარ კუჭუაშვილი. როგორც მან აღნიშნა, ბ-ნი ემზარი არის გამოცდილი, ავტორიტეტული მუშაკი, წინა წლებში სხვა სამსახურებთან ერთად მუშაობდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ, არის სანდო, პატიოსანი ადამიანი და მისი ცოდნა და გამოცდილება კარგად გამოადგება მუნიციპალიტეტისა და მისი მოსახლეობის წინსვლისა და ეკონომიკურად გაძლიერების საქმეს.

– „მე აქ იმისთვის ვარ მოსული და მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ იმიტომ გამომიცხადა ასეთი დიდი ნდობა, რომ ვემსახურო ჩვენს ხალხს, ხელი შევუწყო ჩვენს რაიონს წინსვლის საქმეში და ჩემს ძალ-ღონეს და შესაძლებლობებს არ დავიშურებ იმისთვის, რომ შევასრულო ჩემი და პარტია „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებები. მაგრამ ეს მარტო ჩემი პირადი საქმე არაა და იმედია, რომ თითოეული თქვენგანი ერთგულად დამიდგება გვერდში ამ დაპირებების შესრულების საქმეში, –განაცხადა მან. თავის მხრივ ემზარ კუჭუაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ უკომპრომისო იქნება და მკაცრად მოითხოვს რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხიანად შესრულების საკითხებს.

მათი ამ მოკლე გამოსვლის შემდეგ მუნიციპალიტეტის ოცდახუთივე ტერიტორიულ ორგანოში მერის წარმომადგენლებმა, გომბორის თემიდან დაწყებული რიგითობის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელებს, თათბირის მონაწილეებს გააცნეს და წარმოუდგინეს ინფორმაცია იმ ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების შესახებ, რომლებიც მათ სამოქმედო ტერიტორიებზე განხორციელდა, ან მიმდინარეობს, ისაუბრეს სოფლებში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ; სასმელი წყლის სათავე-ნაგებობებისა და ქსელების მოწესრიგების, საავტომობილო და სხვა სავალი გზების, სოფლად სამედიცინო მომსახურების ობიექტების საზამთროდ გათბობის მოწესრიგებისა და ახალი ამბულატორიული ობიექტების მშენებლობის, სანიაღვრე არხების, ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების, ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, გარე განათების ქსელების მოწესრიგების და სხვათა შესახებ.

თათბირზე თოხლიაურის წარმომადგენლის მიერ მწვავედ იქნა დაყენებული საკითხი ტყეების დაუდევარი კაფვისა და ამის გამო სოფელში შექმნილი სასმელი წყლის დეფიციტის შესახებ.როგორც მან აღნიშნა, ინომრება და იკაფება მცირე ზომის ხეებიც კი და თუ ასე გაგრძელდა ტყის კაფვა, მალე თოხლიაური უდაბნოს ზონად იქცევაო და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სთხოვა ამ საქმეში დროული ჩარევა.

თათბირზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი კოვიდინფექციის საწინააღმდეგო აცრების მნიშვნელობასა და დროულად განხორციელების საკითხებს, რათა შესაძლებელი გახდეს მუნიციპალიტეტში და მთლიანად ჩვენს ქვეყანაში კაცობრიობის ამ სასტიკი დაავადების დამარცხება.

თათბირზე ტერიტორიულ ორგანოებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ დაყენებული იქნა სხვა საჭირბოროტო საკითხებიც, რომელთა გადასაწყვეტად დაისახა მათი გამოსწორების სათანადო გზები და საშუალებები.

*გ. დაბახიშვილი*

## ავიცრათ ერთმანეთისთვის!

**60 წლის** და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ჩაიტარებს ვაქცინაციას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით, ავტომატურად მიიღებს 200 ლარიან ერთჯერად დანამატს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაქცინირებულ პირთა შესახებ ინფორმაცია თვის განმავლობაში ორჯერ (1-ელ და 15 რიცხვებში) მიეწოდება და ინფორმაციის მიღებიდან მომდევნო 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მოქალაქისთვის თანხის ჩარიცხვას.

ერთჯერადი დანამატის ჩარიცხვა „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მათსავე ანგარიშზე მოხდება.

რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომელთა ასაკი 60-დან 65 წლამდეა და საპენსიო ასაკს არ მიეკუთვნებიან, სოციალური მომსახურების სააგენტო „ლიბერთი ბანკთან“ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, ანგარიშებს თავად გაუხსნის.

ის მოქალაქეები, რომლებიც აცრის პირველ დოზას 2021 წლის დეკემბრის თვის ბოლოს გაიკეთებენ, ერთჯერად დანამატს 2022 წელს მიიღებენ.

ავიცრათ ერთმანეთისთვის!



ვაქცინაცია უჯარმის თემში

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

### გიორგი ერბოწონაშვილი:

### „– გული მწყდება – გაჭირვებული ადამიანი ჯერ კიდევ ბევრია“...

***საგარეჯოს* მუნიციპალიტეტის აწ უკვე ყოფილ მერს *გიორგი ერბოწონაშვილს* 4 წლის განმავლობაში პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული იმ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე, მათი სოციალურ-ეკონომიური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, სადაც 62 ათასზე მეტი ადამიანი 10 თემის 44 სოფელსა და ერთ პატარა, მაგრამ „პრეტენზიულ“ ქალაქში ცხოვრობს. მკითხველი დამემოწმება, რომ ეს 4 წელი არც ბევრია და არც ცოტა იმ საკითხების შესასწავლად და მოსაგვარებლად, რომლებიც ათეული წლებია მოჰყვება ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ სფეროს, კულტურას, განათლებას, სპორტს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს.***

***დღეს გიორგი ერბოწონაშვილი სწორედ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ გვესაუბრება, რომელთა განხორციელებისათვის მან 4 წელი თავის გვერდში მდგომ თანამშრომლებთან ერთად იღვაწა.***

**– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2018 წელს მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.**

**მათ შორის:**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა:***



1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***გიორგიწმინდასა*** და სოფელ ***წყაროსთავში*** სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა. 89 395 ლარი.

2. სოფელ ***ნინოწმინდაში, თულარში*** და ***იორმუღანლოში*** ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის შეკეთება. ***4 576.88 ლარი.***

3. ***სოფელ კაკაბეთში*** სკოლის უბანში დაზიანებული მაგისტრალის აღსადგენად პოლიეთილენის მილის შესყიდვა.

4. ქ. ***საგარეჯოში***, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილზე ლითონის რეზერვუარის მოწყობა. 16 335.13 ლარი.

5. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ***ვერხვიანში***, ე.წ. „საბავშვო ბაღი“–ს უბანში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის აღდგენის მიზნით, პოლიეთილენის მილის და 1 ცალი მექანიკური გადასაბმელის შეძენა. 800 ლარი.

6. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***კაკაბეთის*** №2 საბავშვო ბაღის სასმელი წყლის მიწოდების აღდგენითი სამუშაოების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***პატარა ჩაილურში*** ე.წ.„საყდრის“ უბანში სასმელი წყლის მიწოდების აღდგენითი სამუშაოების და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფ. ხაშმში*** ე.წ. „თეთრაშვილების“–ს, „ინანიშვილი“-ს, „ყირმელაშვილები“-ს, „ციცაანთ“ და „ზარანდია“-ს უბნებში სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის დაზიანებული ნაწილის ამოცვლითი სამუშაოები. 12 072.93 ლარი.

7. ა(ა)იპ ***საგარეჯოს 105-ე კომპლექსური სასპორტო სკოლის*** ღია საცურაო აუზის შეკეთების, ღობის მოწყობისა და წყლის ცირკულაციის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები. 31 330 ლარი.

8. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***პატარძეულში***, ე.წ „შიოს“ უბნის, სოფელ ***ნინოწმინდაში*** ბაღის მიმდებარედ, სოფელ ***ლამბალოსა*** და სოფელ ***დუზაგრამაში*** არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილებში დამონტაჟებული, დაზიანებული სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები. 32 458.26 ლარი.

9. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ პატარძეულში*** გიორგი ლეონიძის სახლმუზეუმის შეკეთების სამუშაოები. 5 958.95 ლარი.

10. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***მერიის*** მე-4 სართულის რეაბილიტაციის სამუშაოები. 80 909 ლარი.

11. ***პატარძეულში*** „სკოლის“ და „გიგლაანთ“ უბანში ჭაბურღილების დაზიანებული ტუმბოების შეძენა-მონტაჟი. 11 963 ლარი.

12. ***ქ.საგარეჯოს 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების*** ცენტრალური გათბობის "წყალგამაცხელებლის" სისტემის შეძენა-მონტაჟის სამუშაოები. 4 000 ლარი.

13. ქ.***საგარეჯო***, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ სასმელი წყლის ჭაბურღილში დამონტაჟებული წყლის ამქაჩი ტუმბოს შეძენა-მონტაჟი. 6 180 ლარი.

14. სოფ. ***კაკაბეთში***, ე.წ. "ავაზნის" მიმდებარედ სატუმბ სადგურში დაზიანებული ტუმბოს შეძენა-მონტაჟი. 6 450 ლარი.

15. ქ. ***საგარეჯოში***, კახეთის გზატკეცილი №10–ში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელისთვის რეზერვუარის შეძენა და მისი მონტაჟის სამუშაოები. 10 186.21 ლარი.

15. ***საგარეჯოს*** მუნიციპალიტეტის და ***მისი სოფლებისთვის*** სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები. 107 097.9 ლარი.

16. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ ხაშმის, სოფელ უჯარმის, სოფელ წყაროსთავის, სოფელ დუზაგრამის, სოფელ დიდი ჩაილურის*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სამზარეულოსა და სასაწყობე ოთახის კეთილმოწყობის სამუშაოების, სოფელ ***გიორგიწმინდის*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში პროდუქტების შესანახი ოთახის კეთილმოწყობის სამუშაოების, სოფელ ***პატარძეულის*** 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სამზარეულოსა და პროდუქტების შესაძენი ოთახის კეთილმოწყობის სამუშაოებისა და სოფელ ***პატარძეულის*** №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სამზარეულოსა და სასაწყობე ოთახის კეთილმოწყობის სამუშაოები. 47 893.84 ლარი.

18. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ დუზაგრამა-ლამბალო-თულარის*** წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის და სოფელ ***იორმუღანლოში*** რკინა ბეტონების სადგამების მოწყობის სამუშაოები. 7 261 ლარი.

19. ***საგარეჯოს*** მუნიციპალიტეტის ***სოფელ გომბორის, სოფელ გიორგიწმინდის, საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდისა და საგარეჯოს №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში*** სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობის სამუშაოები. 32 507 ლარი.

20. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ ბადიაურში, სოფელ პატარა***

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

**გაგრძელება**

***ჩაილურში და სოფელ ყანდაურაში*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობის სამუშაოები. 27 298 ლარი. თარიღი:

21. ა(ა)იპ ***საგარეჯოს სათნოების სახლის*** კვების ბლოკის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. 13 821 ლარი.

22. საგარჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ უდაბნოში*** მოსაცდელზე ქვის კიბისა და ტერასების მოწყობის სამუშაოები. 3 350 ლარი.

23. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ ანთოკში*** ცენტრალურ საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები. 14 858 ლარი.

24. ***ქ. საგარეჯო,ე.წ. „სადგურის დასახლებაში“*** სასმელი წყლის ჭაბურღილისა და ლითონის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები. 64 828 ლარი.

25. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***პატარძეულში*** სასმელი წყლის ლითონის ემალირებული რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები. 15 658 ლარი.

26. ქალაქ ***საგარეჯოში*** ლეონიძის ქუჩა 4-ში მდებარე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლის სახლის აივნის გამაგრებითი სამუშაოები. 22 625 ლარი.

27. ***ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ვეფხვებისათვის’*** 2 (ორი) ცალი საშხაპე კონტეინერის კომპლექტის (მონტაჟით), 2 (ორი) ცალი გამოსაცვლელი კონტეინერის კომპლექტისა (მონტაჟით) და 1 (ერთი) ცალი სამსაჯო კონტეინერის კომპლექტის (მონტაჟით) შესყიდვა. 48 800 ლარი.

28. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ***(ქ. საგარეჯო, სოფელი ლამბალო, სოფელი ბადიაური, სოფელი პატარა ჩაილური, სოფელი დიდი ჩაილური, სოფელი პატარძეული, სოფელი ნინოწმინდა)*** სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების (ე.წ. “მწოლიარე პოლიციელების”) მოწყობის სამუშაოები. 25 959 ლარი.

29. ქ. ***საგარეჯოში კახეთის,დოდაშვილისა და არაყიშვილის ქუჩების*** ასფალტობეტონის გზის საფარისა და სანიაღვრე რკინაბეტონის კიუვეტების მოწყობის სამუშაოები და ქ. ***საგარეჯოში*** მერაბ კოსტავას ქუჩაზე მრვალბინიანი საერთო საცხოვრებლების ეზოებისა და სოფელ ***პატარძეულში*** გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები. 930 570 ლარი.

30. ქ.***საგარეჯოს*** მუნიციპალიტეტის მერიაში ფარდა-ჟალუზების მოწყობა. 6 340 ლარი.

31. ქალაქ ***საგარეჯოში*** ჯაფარიძის შესახვევის მოასფალტების სამუშაოები. 14 849 ლარი.

32. ***საგარეჯოს*** მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების დაზიანებული სახლების სახურავების აღდგენითი სამუშაოები: ლიანა ბუზარიაშვილი, მევლუდ გიქორაშვილი, ნანა ჩუბინიძე, ლალი გულბანი. 32 089 ლარი.

33. ქ. ***საგარეჯო***, მდინარე წიფლისხევზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები. 11 907 ლარი.

34. სოფ. ***უდაბნოში*** საზოგადოებრივი ცენტრის ეზოს კეთილმოწყობა. 29 988 ლარი.

35. სოფლების: ***დიდი ჩაილურის, მანავის 1 და 2, თოხლიაურის, ბადიაურის*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. 45 679 ლარი.

36. ქ.***საგარეჯო***, თამარ მეფის ქუჩაზე არსებული ბაზრის სავაჭრო დახლებისთვის ლითონის ფარდა ჟალუზების მოწყობა. 23 873 ლარი.

37. სოფ. ***პატარა ჩაილურში*** სატუმბო სადგურამდე ელექტრო ხაზის მოწყობა. 12 792 ლარი.

38. სოფ. ***კაკაბეთის*** №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. 63 635 ლარი.

39. ქ. ***საგარეჯოში*** ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე მინი სტადიონისა და სკვერის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. 29 237 ლარი.

40. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ შიბლიანის და სოფელ ყანდაურის*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. 38 416 ლარი.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

## გიორგი ერბოწონაშვილი:

## „– გული მწყდება – გაჭირვებული ადამიანი ჯერ კიდევ ბევრია“...



41. ქ, ***საგარეჯოში*** კიკვიძის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხის აღდგენა-რეაბილიტაციის და სოფელ ***გიორგიწმინდაში*** არხზე გადასასვლელი ბოგირის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. 22 188 ლარი.

42. ქ.***საგარეჯო***, არაყიშვილის ქუჩაზე კედლის მშენებლობის სამუშაოები. 4980 ლარი.

43. ქ.***საგარეჯო***, კახეთის გზატკეცილი 11 კორპუსის კედლის გამაგრება. 3271 ლარი.

44. სოფ.***კაკაბეთის*** №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. 88 040 ლარი.

45. ***საგარეჯოს*** მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოხრეშვა-მოშანდაკება. 100 000 ლარი.

46. ქ.***საგარეჯო***, ჯაფარიძის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა. 23 431 ლარი.

47. მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული 22 საცხოვრებელი სახლის აღდგენითი სამუშაოების და სახლებისათვის სახურავების შეცვლა – 377630 ლარი.

### მთის ფონდი
### 2018 წელი

1. სოფ: ***კოჭბანში*** გარე განათების მოწყობა. 33 630 ლარი.
2. სოფ. ***გომბორში*** გარე განათების მოწყობა. 83 568 ლარი.
3. სოფ. ***კოჭბანში*** საბავშვო ბაღის შენობის აშენება. 188 081 ლარი.

### რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული სამუშაოები

1. ქ. ***საგარეჯოში***, საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციის და საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოების II ეტაპი. 533 276 ლარი.
2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ***პატარძეულში*** ჩიხლაანთ უბნის გზის მოასფალტების სამუშაოები. 434 205 ლარი.
3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ.***მანავში*** გადასასვლელი ხიდის მოწყობა. 179 960 ლარი.
4. ქ. საგარეჯოში, ცენტრალურ ქუჩებთან დამაკავშირებელი შიდა საუბნო გზების მოასფალტება. ( ***მარჯანიშვილის, მამისაშვილის III და I შესახვევი, ჩოლოყაშვილის, თავისუფლებისა და ლესელიძის ქუჩები).*** 416 000 ლარი.
5. ***ვერხვიანი-ყანდაურის*** დამაკავშირებელი გზის მოასფალტება. 349 300 ლარი.
6. სოფ. ***კაკაბეთში*** სასმელი წყლის ქსელის მოწყობა. 1 049 957 ლარი.
7. ქ. საგარეჯოში, ***გურამიშვილის*** ქუჩის მოასფალტება. 227 650 ლარი.
8. ქ.***საგარეჯო***, №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაცია. 346 838 ლარი.

### ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები.

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***საგარეჯო-ნინოწმინდის*** ცენტრალურ საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები. 72,,883 ლარი.
2. ქ. საგარეჯოში ***ყაზბეგის ქუჩიდან*** პეტრე-პავლეს ეკლესიის მიმართულებით მიმავალი გზის მოწყობის სამუშაოები 324 795 ლარი.
3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***ვერხვიანის*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 29067 ლარი.
4. ქ. ***საგარეჯოს*** №6 – 7 000 ლარი;
5. ქ. ***საგარეჯოს*** №3 – 7 000 ლარი.
6. სოფ. ***გომბორის*** – 5 880 ლარი.
7. სოფ. ***ნინოწმინდის*** – 15 974 ლარი.
8. სოფ. ***პატარძეულის*** – 19 600 ლარი.
9. სოფ. ***პატარძეულის*** №2 – 14 700 ლარი.
10. ქ.***საგარეჯოს*** №1 – 7 000 ლარი.
11. ქ.***საგარეჯოს*** №2 – 2 000 ლარი.
12. სოფ. ***ხაშმის*** – 6 860 ლარი.
13. სოფ. ***წყაროსთავის*** – 1 960 ლარი.
14. ქ.***საგარეჯოს*** მუნიციპალიტეტის მერიის ფოიეს რეაბილიტაცია. 110 000 ლარი.
15. სოფ. ***ნინოწმინდაში*** სანიაღვრე არხის და ცხაურის მოწყობა. 30 000 ლარი.

**ამავე, 2018 წელს *ნაწილობრივი რემონტი ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის რამდენიმე დაწესებულებას, კერძოდ:***

1. ***შიბლიანის, მზისგულის, ყანდაურის, ბადიაურის, ვერხვიანის, კაკაბეთის №1, კაკაბეთის*** №2, ***დიდი ჩაილურის, მანავის*** №1, ***მანავის*** №2, ***თოხლიაურის, გომბორის, ხაშმის, პატარძეულის №1, პატარძეულის*** №2, ***წყაროსთავის, ნინოწმინდის,*** ქ. ***საგარეჯოს №1,*** ქ. ***საგარეჯოს №2,*** ქ. ***საგარეჯოს №3,*** ქ. ***საგარეჯოს № 6,*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რომელზედაც სულ 422200 ლარი დაიხარჯა.

### 2019 წელი

**2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების გზები ადგილობრივი ბიუჯეტის, რეგიონული განვითარების ფონდისა და პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ საშუალებით განიხილებოდა.**

**ადგილობრივი ბიუჯეტით** ***დაფინანსდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, საერთოდ გაიხარჯა 2165912.60 ლარი, მათ შორის:***

### სასმელი წყალი

1. **ბადიაური** – რეზერვუარის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები – 58122 ლარი
2. **საგარეჯო** – რუსთაველისა და ერისთავის ქუჩების გადაკვეთაზე დაზიანებული ცხაურების შეცვლის სამუშაოები – 3932,9 ლარი
3. **ყანდაურაში** რეზერვუარებისა და შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია და ზემო ყანდაურაში რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები – 61013 ლარი
4. სოფელ **ლამბალოს** 5 უბანში საუბნო ონკანების მოწყობისა და სოფელ გიორგიწმინდაში რეზერვუარის რეაბილიტაცია – 42478,80 ლარი
5. სოფელ **მზისგულში** სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია – 42953.20 ლარი
6. მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის სასმელი წყლის პოლიეთილენის მილების შესყიდვა – 22999 ლარი
7. სოფ. **კოჭბანში** სასმელი წყლის რეზერვუარის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფელ უჯარმაში მოსახლეობისათვის სარწყავი წყლის მაგისტრალის მოწყობა – 52321.20 ლარი.
8. ქ. **საგარეჯოში**, კოსტავას ქუჩაზე საერთო საცხოვრებლის ეზოებში საკანალიზაციო ჭების გადახურვის ფილების და თუჯის ფილების შესყიდვა – 4990 ლარი
9. სოფ. **დუზაგრამაში** დაზიანებული ტუმბოების შეძენა-მონტაჟის სამუშაოები – 64996.30 ლარი
10. სოფ. **წყაროსთავში** და მზისგულში სასმელი წყლის დაზიანებული ტუმბოების შეძენა-მონტაჟი – 12444.10 ლარი
11. ქ. **საგარეჯოსა** და მისი სოფლებისათვის სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლის) შეძენა – 38899.90 ლარი
12. ქ. **საგარეჯოსა** და მისი სოფლებისათვის სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლის) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები – 46147 ლარი
13 ქ. **საგარეჯოსა** და მისი სოფლებისათვის სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლის) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები 26697ლარი.
14. სოფელ **უჯარმაში** დაზიანებული სასმელი წყლის 20 მმ-იანი ლითონის ემალირებული ავზის მოწყობა – 6314
15. სოფელ **უჯარმაში** დაზიანებული სასმელი წყლის 16 მმ-იანი ლითონის ემალირებული ავზის მოწყობა – 9057
16. სოფელ **მზისგულში** სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილის მოწყობა – 39900 ლარი
17. სოფ. **პატარძეულში** „ცხვარიაშვილების“ უბანში სასმელი წყლის ჭაბურღილის დაზიანებული ტუმბოს შეცვლა – 7000
18. სოფელ **შიბლიანში** რეზერვუარებზე დაზიანებული ტუმბოს შეცვლა – 3214
19. სოფ. **დიდ ჩაილურში** დაზიანებული სარწყავი წყლის მილის აღდგენა 13992.70
20. სოფ **ხაშმის** აგარაკებზე ტუმბოს მოწყობის და სასმელი წყლის მოწყობის სამუშაოები – 9784.50
21. სოფ. **ლამბალოში** დაზიანებული წყლის ტუმბოს ამოცვლის სამუშაოები – 11108
22. სოფ **ნინოწმინდაში** „აჭარელების“ დასახლებაში დაზიანებული ტუმბოს ამოცვლითი სამუშაოები – 5930 ლარი
23. სოფ. **უჯარმაში** ახალი სანიაღვრე არხის მოწყობა – 56708.4ლარი
24. სოფ **ნინოწმინდაში** №5 და №6 ჭაბურღილებზე დაზიანებული ელ კაბელის შეცვლის სამუშაოები – 4419
25. **საგარეჯოში** კოსტავას ქუჩაზე მდებარე №14, №16 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული ამქაჩი ტუმბოების შეცვლა – 10234.80
26. სოფ. **პატარძეულში** „ელერდაანთ უბანში“ დაზიანებული სასმელი წყლის ტუმბოს შეცვლა – 9318.
27. სოფ. **გიორგიწმინდასა** და **ნინოწმინდაში** სათავე-ნაგებობის შემოღობვა – 20000 ლარი.

### გარეგანათება

1. **საგარეჯოში** სათავის ქუჩის გარეგანათება – 17748
2. **საგარეჯოში**, ერისთავის ქუჩაზე – 3115.70
3. სოფ. **პატარძეულში** „ჩიხლაანთ უბანში“ – 10383.10
4. სოფ. **პატარძეულში** „შიოს უბანში“ – 13722.40
5. სოფლები: **თულარი-ლამბალო-იორმუღანლო-დუზაგრამის** ცენტრალური საავტომობილო გზა – 17969.40
6. სოფ **შიბლიანი** – 7818.60
7. ქ. **საგარეჯოში**, მდინარე წიფლისხევის მიმდებარედ – 21120
8. სოფ. **პატარძეულში**, ე.წ. „აჭარელების დასახლება“ – 13211.80
9. ქ. **საგარეჯოსა** და მის სოფლებში გარე განათების მოწყობა – 67248.40
10. სოფ **ყანდაურაში** – 12238.10 ლარი
11. სოფელ **პატარა ჩაილურში** სტადიონისთვის 4 ცალი განათების მოწყობა – 3369.70
12. სოფ. **ვერხვიანში** გარე განათების მოწყობა – 4030.10
13. ქ. **საგარეჯოში**, შ. რუსთაველის ქუჩაზე არსებული სანათების ამოცვლა „LED150W“-ით – 5993.70
14. ქ. **საგარეჯოში**, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული სანათების ამოცვლა „LED150W“-ით – 14532.70
15. ქ. **საგარეჯოში**, მარჯანშვილის

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

გარეჯის მაცნე

№22(252) 2021 წელი, 16-30 ნოემბერი

გაგრძელება

ქუჩაზე არსებული სანათების ამოცვლა „LED100W"-ით – 3898.70

165. სოფ. **მარიამჯვარში** გარეგანათების მოწყობა – 10046.50.

**კეთილმოწყობის სამუშაოები**

1. **საგარეჯოს სამუსიკო სკოლის** ცენტრალური გათბობის მოწყობა – 15360
2. სოფ. **გომბორში** სასაფლაოს შემოღობვა – 3606
3. ქ. **საგარეჯოში**, მდ. „წიფლისხევზე" ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა – 42352
4. სოფელ **უჯარმაში** სკვერის მოწყობა – 34299.50
5. სოფ. **გომბორის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდასამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები – 6554.90
6. **საგარეჯოს №3, პატარძეულის №1,2, პატარა ჩაილურის, ხაშმის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სარემონტო და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები – 46019.60
7. **საგარეჯოს №1, №6, ნინოწმინდის, წყაროსთავის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სამშენებლო და სარეაბილიტაციო და ***საგარეჯოს №2 სკოლამდელი*** აღზრდის დაწესებულების სახურავის ნაწილობრივი შეკეთება, ***გიორგიწმინდის*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წყალმომარაგების და კანალიზაციის რეაბილიტაციის სამუშაოები – 55868.60
8. **მუნიციპალიტეტის მერიისა** და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის გათბობის სისტემა – 14525 ლარი
9. ქ. **საგარეჯოს** ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის წყლის ავზის შესყიდვა – 1060
10. **საგარეჯოს** №1 და №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოები –- 8469
11. ქ. **საგარეჯოს** №4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში აღსაზრდელებისათვის დამატებით ერთი ოთახის მოწყობა – 24964.40

**გზა**

1. ქ. საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის **თემებში შემავალ სოფლებში:** შიბლიანში, მზისგულში, ბადიაურში, ყანდაურაში, ვერხვიანში, კაკაბეთში, პატარა და დიდ ჩაილურებში, მანავში, თოხლიაურში, გიორგიწმინდაში, ნინოწმინდაში, წყაროსთავში, პატარძეულში, ხაშმში დაზიანებული გზის მონაკვეთების აღდგენის – მოხრეშვა-მოშანდაკების მიზნით სპეციალური ტექნიკის დაქირავება – 80000 ლარი.
2. სოფ. **უდაბნოს** შიდასაავტომობილო გზის მოასფალტება – 160000 ლარი
3. ქ. **საგარეჯოსა** და მის სოფლებში დაზიანებული ასფალტბეტონის ***გზის ორმული*** შეკეთება – 237188 ლარი.

***სტიქიით დაზარალებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სახლების სახურავების, კედლების, შენობების აღსადგენად გაიხარჯა 212274,50 ლარი.***

**სპორტული ინფრასტრუქტურა**

1. სოფელ **მანავის** სპორტული დარბაზის დაზიანებული სახურავის შეცვლა – 19303.20 ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი).
2. სოფელ **წყაროსთავში** სპორტული მინი სტადიონის მოწყობა – 16320 ლარი („სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" თანადაფინანსება – 320 ლარი).
3. სოფ. **ბურდიანში** – სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 20000 ლარი („სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" თანადაფინანსება – 1000 ლარი)
4. სოფელი **დიდი ჩაილური** – სპორტული მოედნის მოწყობა – 16320 ლარი – („სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" თანადაფინანსება – 320 ლარი);

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

## გიორგი ერბოწონაშვილი:

## „– გული მწყდება – გაჭირვებული ადამიანი ჯერ კიდევ ბევრია"...

## 2020 წელი

**საქართველოს** მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამას დაემატა 3 801 661 ლარი, კერძოდ, ქ.საგარეჯოში სათავის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.

ქ. **საგარეჯოში** განთიადის, გორის, თამარ მეფის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები - 319097 ლარი.

ქ. **საგარეჯოში** ვაჟა-ფშაველას ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 87488 ლარი

ქ. **საგარეჯოში** კახეთის გზატკეცილის №1 შესახვევის მოასფალტება ე.წ. „სოკარის ქუჩა"- 209659 ლარი

ქ. ***საგარეჯოში*** ქუჩიშვილის და ტაბიძის ქუჩების მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები - 649106 ლარი

ქ. ***საგარეჯოში*** გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 429762 ლარი

ქ. ***საგარეჯოში*** ჩოლოყაშვილის ქუჩის მოასფალტება - 173883 ლარი

სოფელ ***გიორგიწმინდაში*** სასაფლაოს გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა - 180594 ლარი,

სოფელ ***პატარა ჩაილურში*** ცენტრალური გზის მოასფალტება - 279465 ლარი

სოფელ ***პატარძეულში*** მონასტერთან მისასვლელი გზის მოასფალტება - 426763 ლარი

ქ. ***საგარეჯოში*** ჯაფარაძის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა 112708 ლარი

სოფელ ***პატარძეულში*** ე.წ. (ონაანთ) უბნის გზის მოასფალტება - 370647 ლარი

ქ. ***საგარეჯოში*** გურამიშვილის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის მოასფალტება -187046 ლარი

ქ. ***საგარეჯოში*** ზაზა ქურხულის ქუჩის მოასფალტება - 156750 ლარი.

**მოხდა სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია**

1) სოფელ **უჯარმაში** საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები -

2) სოფელ **პატარძეულის** №2 საბავშვო ბაღის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები - 423244 ლარი.

1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯიდან 7352,75 ლარი: ქ.საგარეჯოში გურამიშვილის ქუჩის მოასფალტება - 3258,28 ლარი, მანავში გადასასვლელი ხიდის მოწყობა - 4094,47ლარი.



2) სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაციის ხარჯიდან 18351,83 ლარი - ქ.საგარეჯოში სტადიონის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (მეორე ეტაპი).

3) სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯები 10132,04 ლარი - ქ.საგარეჯოს №5 სკოლამდელი ა ღ ზ რ - დის დაწესებულების რეაბილიტაცია;

1. **ქ.საგარეჯოში**: გ.ქურდიანის ქუჩაზე "ღვთისმშობლის" ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტება.

2. შოთა **რუსთაველის** ქუჩაზე (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტების პროექტის შეძენა – 80300.47

3. **სათავის** ქუჩის წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები – 6364.46

4. **სარაჯიშვილის** ქუჩის მოასფალტების სამუშაოები – 3 12809.45

5. **მარჯანიშვილის** ქუჩის მოასფალტების სამუშაოები – 11445.4

6. სოფელ **მანავში** ე.წ.ტურის უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები – 13232.87

7. **სოფელ ხაშმში** შიდა საავტომობილო გზის მოასფალტება და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობა.

8 ქ.**საგარეჯოში** თამარ მეფის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა,მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 33870,25 ლარი.

1. სოფელ **კაკაბეთში** სასმელი წყლის ქსელის მოწყობა (მეორე ეტაპი).

2. სოფელ **დიდ ჩაილურში** დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის ამოცვლა.

3. სოფელ **უდაბნოში** არსებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია - 52 250 ლარი;

1. სოფელ **პატარა ჩაილურში** შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცის სამუშაოები – 87500

2. სოფელ **დიდ ჩაილურში** შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა.

3. სოფელ **ყანდაურაში** შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია.

1.ქ. **საგარეჯოში** კახეთის გზატკეცილზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-ს შენობის მშენებლობა.

2.სოფელ **გომბორში** სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-ს შენობის მშენებლობა.

3. სოფელ **გომბორის** ამბულატორიის რეაბილიტაცია.

4. სოფელ **გიორგიწმინდის** ამბულატორიის რეაბილიტაცია.

5. სოფელ **თოხლიაურის** ამბულატორიის რეაბილიტაცია.

6. სოფელ **მანავის** ამბულატორიის რეაბილიტაცია.

7. სოფელ **პატარძეულის** ამბულატორიის რეაბილიტაცია.

8. სოფელ **ყანდაურის** ამბულატორიის რეაბილიტაცია.

9. სოფელ **დიდი ჩაილურის** ამბულატორიის რეაბილიტაცია

1. ს. **წყაროსთავში** სტადიონის მოწყობა.

2. **მანავის** სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება, კერძოდ 2(ორი) ერთეული ოთახის რეაბილიტაცია.

3. სოფელ **კაკაბეთში** არსებული სასმელი წყლის ავზის გადახურვა

4. ქ. **საგარეჯოს** ტერიტორიაზე დამონტაჟებული დაზიანებული სკამების აღდგენა

4. სოფელ **კაკაბეთში** დვრინის წყალზე სადრენაჟე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.

**სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 252931 ლარი, კერძოდ მოხდა:**

ა) სოფელ გომბორში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია

ბ) სოფელ ბადიაურში ახალი სპორტული დარბაზის მოწყობა

**მოხერხდა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი გზების მშენებლობა, მათ შორის:**



ა). ს. **ხაშმის** საავტომობილო გზის (დაახლოებით 1,3კმ) და სოფლების **ლამბალოსა** და **თულარის** დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (დაახლოებით 5კმ) მოასფალტების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

აღნიშნულ პერიოდში მოხდა გზების შეკეთება - 191787 ლარი, მათ შორის: მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების მოხრეშვის სამუშაოები - 100000 ლარი; მუნიციპალიტეტის სოფლებში სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების, ქვეითად მოსიარულეთა საგზაო გადასასვლელების „ზებრების", საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების და საგზაო სარკეების დამონტაჟების სამუშაოები რაზედაც გაიხარჯა 42 000 ლარი;

გზების ორმოული შეკეთების სამუშაოები 49787 ლარით დაფინანსდა.

3) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია -371762 ლარი,

ს.**ნინოწმინდაში** და **გიორგიწმინდაში** სათავე-ნაგებობების შემოღობვის სამუშაოები.

სოფელ **დუზაგრამაში** არსებულ სატუმბო სადგურში დაზიანებული ტუმბოების შეძენა-მონტაჟის სამუშაოები

სოფელ **ხაშმის** „აგარაკებზე" ტუმბოს მოწყობის და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები

ქ.**საგარეჯოში** კახეთის გზატკეცილი №12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსისთვის სასმელი წყლის სატუმბი სადგურის და მილის მოწყობის სამუშაოები

1000 ტონიანი რეზერვუარის მოწყობა სოფლებში: პალდო, წიწმატიანი, დუზაგრამა, თულარი, კაზლარი, ლამბალო, ქეშალო, მუღანლო – დაფინანსდა 1540804 ლარით.

**თულარში** და სოფელ კაზლარში სასმელი წყლის მაგისტრლისა და საუბნო ონკანების მოწყობა - 744658 ლ

**თოხლიაურში**, სათავე-ნაგებობიდან სოფლამდე სასმელი წყლის მილის მოწყობა, ***სოფელი გიორგიწმინდა***, "ნასადგომარიდან", ანთოკ-მარიამჯვარის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, ***კოსტავას ქუჩაზე*** კორპუსებთან სასმ.წყლის ავზის მოწყობა, ს.***გომბორის*** წყალმომარაგება,. ***მზისგულში*** სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები. ***დიდ ჩაილურში*** 50მ.კუბ. ტევადობის სასმ.წყლის ავზის შეძენა-მონტაჟი; ს.***ნინოწმინდაში*** ბასეინთან არსებული სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია,; სოფელ ***ნინოწმინდაში*** "მილხინეს" წყლიდან სასმელი წყლის ქსელის მოწყობა, ძველი სათავედან წყლის გადმოყვანა, ს.***წყაროსთავში*** სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა ე.წ. ბებერ წყლებთან რეზერვუარით ს.***პატარძეულში*** სტადიონთან სასმ.წყლის ჭაბურღილის მოწყობა რეზერვუარით, 3 ჭაბურღილის მოწყობა დამატებით, სასმელი წყლის ჭაბურღილებისთვის ამქაჩი ტუმბოების მოწყობა, სოფელ ***მანავში*** 2 რეზერვუარის მოწყობა, ბურდიანში ჭაბურღილის მოწყობა, სოფელ ***კაკაბეთში*** ე.წ.საბას წყალზე მილების ამოცვლა, სოფელ სათაფლეში სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია; სოფელ ***უჯარმაში*** ახალი წყალშემკრების მოწყობა; სოფელ ***წყაროსთავში*** ჭაბურღილის მოწყობა; სოფ. ***შიბლიანში*** ჭაბურღილის მოწყობა; სოფელ ***ვერხვიანში*** სათავე-ნაგებობის შემოღობვა; წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია; საინჟინრო-მონიტორინგის ჯგუფის მომსახურება; წყლის სისტემების რეაბილიტაცია.

4) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

**დასასრული**

ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 219057 ლარი.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობა 52281 ლარი.

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა.

1) ს. ***გიორგიწმინდაში*** წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 862886 ლარი,

2) ს.***გომბორის*** წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 187307 ლარი,

3) ს.***კაზლარის*** წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 707425 ლარი

**წყლის სისტემების რეაბილიტაცია:**

სოფელ **უდაბნოში** საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია 28339 ლარი;

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №12ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები 53427 ლარი.

## 2021

**ქ. საგარეჯო**

**რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:**

1. კახეთის გზატკეცილის №№10, 10ა, 12, 12ა კორპუსების ეზოების მოასფალტება-კეთილმოწყობა – 457815ლ;

2. რუსთაველის ქ. №№ 270,272,274 კორპუსების ეზოების მოასფალტება-კეთილმოწყობა – 249894ლ;

3. ე.წ. „ქურხულიანთ უბნის“ მიმდებარედ არსებული სასაფლაოსთან მისასვლელი გზის არმირებული ცემენტბეტონით მოწყობა – 597500 ლ;

4. მშვიდობის ქუჩის მოასფალტება – 871257ლ;

5. ფალიაშვილის ქუჩის მოასფალტება – 871257ლ;

6. ბარნოვის, რობაქიძის, 9 ძმის სახელობის ქუჩების მოასფალტება – 523600ლ;

7. კეცხოველის ქუჩის მოასფალტება – 194097ლ;

8. კახეთის ქუჩის მოასფალტება – 67737ლ;

9. რუსთაველისა და კახეთის ქუჩების დამაკავშირებელი გზების მოასფალტება – 131153ლ;

**ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით:**

1.კოსტავას ქუჩაზე №14 და №16 კორპუსების წყალმომარაგების – სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – 70441ლ;

2. საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის შეძენა-მონტაჟი – 177500ლ;

3. №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის რეაბილიტაცია – 77673ლ;

4. ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეკეთება – 91309ლ;

**კოჯბანის თემი**

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა***

სოფელი **კოჯბანი**

გარე განათების მოწყობა – 9795ლ;

სოფელი **გორანა**

გარე განათების მოწყობა – 9792ლ;

სოფელი **იკვლივ გორანა**

გაბიონის მოწყობის დასრულება – 9799ლ;



# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

### გიორგი ერბოწონაშვილი:

## „– გული მწყდება – გაჭირვებული ადამიანი ჯერ კიდევ ბევრია“...



სოფელი **ოთარაანი**

1. სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება – 9800ლ;

2. გარე განათების მოწყობა – 9798ლ;

სოფელი **ბოტკო**

სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და სისტემის მოწყობა – 9800ლ;

**გომბორის თემი**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

სოფელი **გომბორი**

სანიაღვრე არხისა და ლითონის ცხაურების მოწყობა – 24191ლ;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა:***

სასმელი წყლის სათავე ნაგებობიდან შემკრებამდე მისასვლელი მაგისტრალის ამოცვლა – 15675ლ;

სოფელი **ასკილაური**

გარე განათების მოწყობა –

სოფელი **ვაშლიანი**

სასმელი წყლის მილის შეცვლა 500მ – 9799ლ;

სოფელი **ვერონა**

გარე განათების მოწყობა – 9798ლ

სოფელი **რუსიანი**

სკვერის მოწყობა – 8302ლ;

**უჯარმის თემი**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

სოფელი **უჯარმა**

1. სოფელ **უჯარმაში** მდებარე სოფელ უდაბნოსა და სათაფლეს სათავე ნაგებობაზე შემკრები ფარის მოწყობა – 2930ლ;

2. გარე განათების მოწყობა – 15683ლ;

სოფელი **მუხროვანი**

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა:***

სასმელი წყლის რეზერვუარს მოწყობა – 9802ლ;

სოფელი **პალდო**

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა:***

სარწყავი სისტემის მოწყობა – 9800ლ;

სოფელი **ხაშმი**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***

1. სოფლის შესასვლელ გზაზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა – 82021ლ;

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

2. ე.წ. „ხაშმის დაჩებამდე“ სასმელი წყლის ქსელის მოწყობა – 35195ლ;

3. მინი სტადიონის მოწყობა – 82021ლ;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

4. საექიმო ამბულატორიაში გათბობის სისტემის მოწყობა – 18687ლ;

სოფელი **პატარძეული**

1. ეკლესიის მიმდებარე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია – 136439ლ;

2.ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია – 136919ლ;

3. „ლეკიაანთ უბნის“ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია – 151224ლ;

4. „ბერთუბნის“ წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია; – 75273ლ;

5. მინი სტადიონის მოწყობა – 76792ლ;

6. „ჩიხრაანთ უბანში“ სანიაღვრე სისტემისა და ლითონის ცხაურების მოწყობა – 36814ლ;

7. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის რეაბილიტაცია – 282879ლ;

8. ე.წ. „აჭარელების დასახლებაში“ სასაფლაოს შემოღობვა – 13431ლ;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

გარეგანათება – 26252ლ;

სოფელი **წყაროსთავი**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***

1. წყაროსთავი-ნინოწმინდის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 549963ლ;

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

2. ჭაბურღილის მოწყობა – 157198ლ;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

3. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებს ეზოს მოწყობა – 13290ლ;

სოფელი **ნინოწმინდა**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***

1. წყაროსთავი-ნინოწმინდის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 549963ლ;

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

2. მინი სტადიონის მოწყობა – 74882ლ;

3. სპორტული დარბაზის მშენებლობა – 297000ლ;

3. მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტროგაყვანილობის, გარე განათების და სკვერის შემოღობვა – 6106ლ;

4. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქვაბის გამოტანა – 40302:3;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

5. ტრენაჟორების მოწყობა – 24147ლ;

**გიორგიწმინდის თემი**

**სოფ. გიორგიწმინდა:**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***

1. ჭაბურღილის შემკრები რეზერვუარების და სატუმბი სადგურის მოწყობა – 1300762 ლარი;

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

1. გარე განათების მოწყობა – 11138ლ;

2. სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების მოწყობა – 10474ლ;

3. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის რეაბილიტაცია – 258898ლ;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

1. საჭიდაო მოედნის მოწყობა – 38599.6ლ;

***სოფელი ანთოკი, მარიამჯვარი***

ტრენაჟორების მოწყობა გაერთიანებული მარიამჯვართან ერთად – 23317ლ;

**ქვემო სამგორის დასახლება**

1. სასმელი წყლის ავზის მოწესრიგება – 6887ლ;

**მანავის თემი**

სოფელი **მანავი**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***

1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტება – 235481ლ;

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

2. არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია – 35373ლ;

3. მრავალბინიანი საცხოვრებელი №1 სახლის სახურავის მოწყობა – 65423ლ;

4. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი №2-ის სახურავის მოწყობა – 54934ლ;

4. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი №3-ის სახურავის მოწყობა – 58358ლ;

5. გარე განათების მოწყობა – 40120:2 (თოხლიაურთან ერთად).

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგამით:***

6. გარე განათება – 19605ლ;

სოფელი **ზემო ბურდიანი**

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგამით:***

1. სანიაღვრე არხების მოწყობა – 9792ლ;

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

2. წყალსადენის ჭაბურღილისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა – 115493ლ;

სოფელი **დიდი ჩაილური**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

1. სტადიონის მშენებლობა – 92887ლ;

2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის რეაბილიტაცია – 126379ლ;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგამით:*** გარე განათება – 15682ლ;

სოფელი **პატარა ჩაილური**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

1. მინი სტადიონის მოწყობა – 74882ლ;

2. სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 47199ლ;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგამით:*** ტრენაჟორების მოწყობა – 24323ლ;

**სოფელი კაკაბეთი**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***

1. სოფლის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის მშენებლობა – დაგეგმილია;

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

2. ე.წ. „დვინის წყალზე“ სადრენაჟე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა –- 177762ლ;

3. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – ამქაჩი ტუმბოების სრული კომპლექტაციის შეძენა-მონტაჟი – 69478ლ;

4. №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქვაბის გამოტანა – 40302:3ლ;

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

5. სანიაღვრე არხის მოწყობა – 19347ლ;

**სოფელი ვერხვიანი**

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

1. ტრენაჟორების მოწყობა – 25291ლ;

**ყანდაურის თემი**

სოფელი **ყანდაურა**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

1. ქვემო ყანდაურაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა – 72110ლ;

2. მინი მოედნის რეაბილიტცია და ხელოვნური საფარის მოწყობა – 41300ლ;

3. ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა – 42545 (ბადიაურთან ერთად)

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

4. გარე განათება – 15677ლ;

სოფელი **ზემო ყანდაურა**

5. ცხაურების მოწყობა – 9797ლ;

სოფელი **ბადიაური**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***

1. სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 91258ლ;

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***

2. მინი მოედნის რეაბილიტაცია და ხელოვნური საფარის მოწყობა – 41300ლ;

3. ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა – 42545: (ყანდაურასთან ერთად);

4.სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქვაბის გამოტანა – 37052:2 (მანავთან ერთად).

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***

5. გარე განათება – 24341ლ;

სოფელი **მზისგული**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსე-***

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

გარეჯის მაცნე
№22(252) 2021 წელი, 16-30 ნოემბერი

<u>**დასასრული**</u>

***ბით:***
1. წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია – 113364ლ;
2. მინი სტადიონის მოწყობა – 72570ლ;
***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***
3. ტრენაჟორების მოწყობა – 24362ლ;

სოფელი **შიბლიანი**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***
1. მინი სტადიონის მოწყობა – 82021ლ;
***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***
2. სანიაღვრე არხების მოწყობა – 15684ლ;

სოფელი **სათაფლე**

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***
1. სკვერის მოწყობა – 9803ლ;

სოფელი **უდაბნო**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***
1. გზის მოასფალტება – 249011ლ (დასრულებული).
***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***
2. ადგილობრივი მინი სტადიონის დახაზვა და „რეზინის კროშკის“ გაშლა – 63986:2ლ;
3. სპორტული დარბაზის მშენებლობა – 342996ლ;
4. ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის №34 და №35 ოთახების მიმდინარე შეკეთება – 12684ლ;
5. სოფელში მცხოვრები ხუთი ოჯახის კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია – 55031ლ;
6. გარე განათების მოწყობა – 6766ლ;
7. ჩიჩხიტურის კოშკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 425714ლ;
8. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის აღდგენითი სამუშაოები – 65785ლ;
***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***
9. ტრენაჟორების მოწყობა – 24901ლ;

**თულარის თემი**

***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით:***
თულარისა და კაზლარის დამაკავშირებელ გზაზე ასფალტის საფარის დაგება – 474000ლ;

სოფელი **თულარი**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***
1. მინი სტადიონის მოწყობა – 74882ლ;
***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***
2. გარე განათება – 19604ლ;

სოფელი **კაზლარი**

გარე განათება – 19606ლ;

**დუზაგრამის თემი**

სოფელი **დუზაგრამა**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***
1. მინი სტადიონის მოწყობა – 74346ლ
2. ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა – 45346:2 (მუღანლოსთან ერთად).
***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***
3. გარე განათება – 15682ლ;

სოფელი **პალდო**

4. გარე განათება – 156836ლ;

სოფელი **წითმატიანი**

5. გარე განათება – 15683ლ.

**იორმუღანლოს თემი**

სოფელი **მუღანლო**
1. გარე განათება – 19602ლ

სოფელი **ქეშალო**
1. სანიაღვრე არხის მოწყობა – 19604ლ;

**ლამბალოს თემი**

სოფელი **ქვემო ლამბალო**

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით***
1. გარე განათების მოწყობა – 3549ლ;
***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით:***
2. გარე განათების მოწყობა – 19601ლ;

სოფელი ***ზემო ლამბალო***

***ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით:***
2. გარე განათება – 19603

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

## გიორგი ერბოწონაშვილი: „გული მწყდება – გაჭირვებული ადამიანი ჯერ კიდევ ბევრია“...



***– ბატონო გიორგი, თქვენ აქ ჩამოთვალეთ მართლაც მნიშვნელოვანი პროექტები. ისიც მინდა გითხრათ, რომ აქ, ამ ჩამონათვალში არის ისეთი ქუჩები, მათ შორის ქალაქ საგარეჯოში, სადაც არასოდეს ყოფილა ასფალტიანი გზა, განათება... თქვენთვის მაინც რომელი პროექტი იყო ყველაზე საინტერესო და ვთქვათ, დიდი მოლოდინით რომ იყავით მის განხორციელებაზე?..***

– გეტყვით, რომ მე პირადად, ძალიან მოხარული ვარ, საგარეჯოში იმ ქუჩების მოასფალტებაზე, სანიაღვრე არხების მოწყობაზე, თქვენი თქმისა არ იყოს, დღიდან საგარეჯოს დაარსებისა (ვიცით, რომ საგარეჯო 300-ზე მეტი წლისაა), უამრავ ქუჩაზე არ ყოფილა ასფალტი, დამეთანხმებით, რომ აქ არსებულ, თავთა მოციქულთა წმიდა პეტრესა და პავლეს ტაძრამდე მისასვლელი გზა ერთობ მოუწესრიგებელი იყო. დღეს შეგვიძლია კომფორტული გზით სარგებლობა. ასევე, ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი რიგითი საგარეჯოელისთვის სასიხარულოა ისიც, რომ სწორედ ჩემი ამ პოსტზე მოღვაწეობის დროს კეთილმოეწყო მანავის ციხესთან, ასევე დავით გარეჯის ლავრასთან მისასვლელი გზები, (თუმცა ეს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით არ დაფინანსებულა) მაგრამ, ხომ ფაქტია...

მე ცალკე ვერ გამოვყოფ ქუჩების, გარე განათების თემას, ეს ყველაზე მტკივნეული თემა იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. მართალია, ეს ძალიან ძვირი ჯდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მოსახლეობას უსაფრთხოდ შეეძლება ღამე გადაადგილება.



***– ამ 4 წლის განმავლობაში ყველაზე რთული, ასე ვთქვათ, „პრობლემა“... და ამასთან, ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის დაწყება-დასრულებასაც თქვენ თვითონ ელოდით?..***

– როგორ გითხრათ, თითქმის ყველა რეგიონში დღეს სასმელი წყლის დეფიციტია. ასეა ჩვენთანაც. მადლობა ღმერთს, იზრდება ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა, ეკონომიურად ძლიერდება ოჯახები, კეთილმოწყობა და კომფორტი დადგა დღის წესრიგში, რამაც სასმელი წყლის, საერთოდ წყლის მოხმარება გაზარდა. წყლის სათავეშიც თითქოს ნელ-ნელა იკლებს დებეტიც. ყველაფერ ამას კი თან დაერთო 2016 წლიდან საგარეჯოში დაწყებული სასმელი წყლის მრიცხველების დაყენება, ე.წ. „გამრიცხველიანება“, რომელსაც დეფექტები აღმოაჩნდა, ამან კი დროში ისე გაწელა ეს პროცესი, რომ იგი ველარც დამთავრდა. მე მესმის საგარეჯოელთა გულისწყრომის, არ არის ადვილი დღევანდელ პირობებში სასმელი წყლის გარეშე ყოფნა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და შესაბამისი სამსახურები ყოველთვის ცდილობდნენ ძველ სისტემაში დაზიანებების დროულად აღმოფხვრას. სასმელი წყლის დეფიციტი თითქმის ყველა სოფელშია, თუმცა სოფელ უდაბნოს და სოფელ კაკაბეთს ეს პრობლემა რამდენიმე წელია მოუგვარდა. ახლა სოფელ გიორგიწმინდისა და პატარძეულის საკითხი დგას დღის წესრიგში. გიორგიწმინდაში პირველი ეტაპი დასრულდა, პატარძეულში მომავალი წლიდან დაიწყება სასმელი წყლის ქსელის მშენებლობა.

რა თქმა უნდა, დიდი მოლოდინი მქონდა, მაღალმთიანი სოფლების გაზიფიცირების პრობლემის გადაჭრის. უჯარმაში უკვე არის ბუნებრივი აირი, დღე-დღეზე აინთება ცისფერი ალი გომბორშიც და გომბორის თემში შემავალ სოფლებშიც. ეს ერთ ნა-



თელ, წარმატებულ შტრიხად მიმყვება ამ ოთხწლიანი მუშაობიდან(გომბორში ცისფერი ალი 19 ნოემბერს აინთო პირველად თ.ი.). მალე ცისფერი ალის მიყვანა გაახარებს კოჭბანის თემის სოფლების მოსახლეობასაც. ეს მმართველი პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია.

***– გულისტკივილი, რომელიც მიგყვებათ...***

– ეს არის მოსახლეობის გარკვეული ფენის გაჭირვებული ცხოვრება. შეუძლებელია ყველას დაეხმაროს ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი. ჩვენს მუნიციპალიტეტში, მართალია არსებობს სოციალური პროგრამა, რომელიც გარკვეულწილად ეხმარება გაჭირვებულ ადამიანებს, მრავალშვილიანებს, შშმ პირებს, ონკოლოგიურ ავადმყოფებს, მაგრამ ჯერჯერობით სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო, უმუშევრობის პროცენტიც მაღალია.

***– გავიხსენოთ დღე, რომელიც ამ 4 წლიდან დაუვიწყარი იქნება თქვენთვის...***

– ყოველი დღე თითქმის დაუვიწყარია, მაგრამ მე მაინც გამოვყოფდი იმ დღეებს, როცა ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე დამსახურებულ ადამიანებს საპატიო გარეჯელის წოდებას ვანიჭებდით და მათ სიხარულისგან დაბნეულ სახეებს, ზოგჯერ კი მათ ცრემლებით სავსე თვალებს ვუყურებდი. ასევე, არ დამავიწყდება შეხვედრები ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, პედაგოგებთან, თავნასახელებ სპორტსმენებთან, 100 წელს მიღწეულ მოხუცებთან, უბრალო, რიგით ადამიანებთან. მაგრამ მინდა სიამაყით გამოვყო (ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ) 2019 წლის მაისში წლების წინ მივიწყებული სახალხო ზეიმ „გარეჯობის“ აღდგენა (შემდეგ წლებში, სამწუხაროდ, „კოვიდ-პადემიამ“ შეგვიშალა ხელი).

***– სოფელი, რომელიც დაგამახსოვრდათ...***

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არ მეგულება სოფელი, რომელიც თავისებურად ლამაზი არ იყოს, არ ცხოვრობდეს კოლორიტული პიროვნება, არ ჰქონდეს თავისებურად, სხვა სოფლებისაგან განსხვავებული იმიჯი. აქ, ჩვენთან იბადებიან სულით და ფიზიკურად ლამაზი ადამიანები, გონიერებიც და თანამედროვეობასთან ფეხაწყობილებიც, სოფელზე, მის ნათელ მომავალზე მზრუნველები, სოფელი თავისი ღალიანი მიწით და შემოსავლით. კარგად იცით, რომ ჩვენ ვამაყობთ „მანავის მწვანით“, „ხაშმური საფერავით“, ჩაილურში მოყვანილი ბოსტნეულით, კაკაბეთის „რქაწითელით“, მთიან სოფლებში მესაქონლეობით, მეფუტკრეობით... ყველა, 44-ვე ჩემთვის საპატივსაცემო და საყურადღებოა. მხოლოდ იმაზე მტკივა გული, რომ ხინჭები და მოსაცური დაიცალა...

***– რას უსურვებდით ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?***

– უპირველესად, კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ახლადარჩეულ მერს ავთანდილ გულიკაშვილს მართლაც ბრწყინვალე გამარჯვება, ვუსურვო ამომრჩევლის ნდობის მანდატის გამართლება, წარმატებები, პრობლემის ადვილად მოგვარების გზების მიგნება, მოსახლეობას კი გამძლეობას და შეგნებულ ცხოვრებას და ბრძოლას კოვიდპანდემიასთან, ჯანმრთელად ყოფნას და შემართებულ შრომით საქმიანობას.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო გაზეთის ფურცლებიდან მათ, ვინც 4 წლის წინ ნდობა გამომიცხადა, ვინც ამ 4 წლის განმავლობაში გვერდში ულალატოდ მედგა პრობლემების მოგვარების საქმეში, ვინც თავის ძალას და ენერგიას არ ზოგავდა მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად. მადლობა მერის წარმომადგენლებს ტერიტორიულ ორგანოებში, რომლებიც ამ 4 წლის განმავლობაში ფხიზლად, აქტიურად იდგნენ სოფლის მოსახლეობის სამსახურში, მათ ბევრი რამ გაიღეს მოსახლეობისათვის კომფორტული გადაადგილების, საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და ვუსურვებ კვლავაც ასეთი შემართებით გაეგრძელებინოთ თავიანთ პოსტზე ყოფნა. მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს – მეუღლეს, შვილს, მშობლებს, ძმას, რომლებიც ამ 4 წლის განმავლობაში შეგნებულად მიწყობდნენ ხელს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ისე, მე არსად წასვლას არ ვაპირებ, აქ ვარ, საგარეჯოში, ჩემს გარეჯელებთან, ჩემს ბიზნესთან ერთად! მიგულეთ თქვენს სამსახურში. ჩემს მიერ ზემოთოთ ჩამოთვლილი, აღნიშნულ წლებში განხორციელებული პროექტები საწინდარია ინფრასტრუქტურული პროექტების კვლავაც შეუჩერებელი ტემპით გაგრძელებისა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ, მათ სამსახურში ჩასაყენებლად.

***– მადლობა. წარმატებებს გისურვებთ, ბატონო გიორგი!***

ჯანმრთელობა

# „covid-19“ და ჩვენ

## რატომ გავურბივართ აცრას — ერთ-ერთ დამცავ მექანიზმს?



ექიმი ლეილა ოტიაშვილი ყოფილ პაციენტთან, 93 წლის კოვიდდამარცხებულ ქალბატონთან ერთად

**მსოფლიო** პანდემიამ, კოვიდინფიცირებულთა რაოდენობის ზრდამ, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ძალზე ცუდი დასასრულით – ლეტალობით მთავრდება, უკვე შეარყია მსოფლიოს ხალხების ფსიქიკა – ორი დაძაბული წელი ამ საშინელი წნეხის ქვეშ, თანდათანობით მონსტრის სახეს იძენს და სამწუხაროდ ჯერჯერობით დასასრულიც არ უჩანს. ისრაელში კვლავ აუცილებელი გახდა მკაცრი ზომების გატარება, ავსტრიამ „ლოკდაუნი“ გამოაცხადა. რუსეთში უკვე ასი ათასობით მიცვალებულია კოვიდ ინფექციით. საქართველოში? საქართველოში უკვე ზარების შემოკვრის დროა – დღე-ღამეში 70-80 გარდაცვლილი ცოტა არ არის ერთი მუჭა ერისათვის. 4 ათასამდე დაინფიცირებული, დამეთანხმებით, რა ზოზინ-ზოზინით მიდიოდა კოვიდსაწინააღმდეგო აცრები მანამდე, სანამ წამახალისებელი პროგრამა არ ამუშავდა – და ვინ დგას რიგში? ვინ აცხადებს თანხმობას „ნებაყოფლობით“ აცრაზე?! 60 წელს გადაცილებული, 80-90 წლის პენსიონერები, რომლებიც ოჯახის წევრებმა ხელისხელით, ყავარჯნებით, ინვალიდის ეტლებით „მიაგრიალეს“ კოვიდსაწინააღმდეგო აცრების კაბინეტებში(!) მერე რაა?! 200 ლარით მოხდება ოჯახის ბიუჯეტის შევსება. თავად ოჯახის არაპენსიონერი წევრები უარს აცხადებენ აცრაზე, ზოგიერთი კბილებშიც კი ცრის – არ ავიცრები! არც კოვიდ-პასპორტის შემოღების მომხრეა ბევრი. და ვინაა დღეს კოვიდ-ცენტრებში ავადმყოფის სარეცელს მიჯაჭვული?! ვინ დაავიწყა ექიმებს, ექთნებს, ექთნების თანაშემწეებს ოჯახური მყუდროება, წესიერად ძილი, ჭამა, დასვენება, გართობა და აიძულა შვილებთან დროის გატარების ნაცვლად ავადმყოფების სარეცელთან დაჯდომა, მათი სუნთქვის დათვლა, თვალებში ყურება და ფსიქოლოგიური „ლექციების“ ჩატარება?!

საგარეჯოს „კოვიდ-ცენტრში“ დღეს პაციენტთა 99% არაა აცრილი. აქ სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მქონე კოვიდინფიცირებულები მთლიანი მედპერსონალის მზრუნველობის ქვეშაა, მაგრამ როცა მდგომარეობა რთულდება, როცა ყველაფერი ამაო ხდება, როცა ექიმები უმწეო ხდებიან ამ ვერაგი დაავადების წინაშე, მაშინ იწყება მოთქმავედრება, ოღონდ ახლა გადარჩნენ და აიცრებიან, რადგან აცრა მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანის ორგანიზმის ბრძოლის უნარს, დამტკიცდა, დიახ ჩვენმა ყოველდღიურმა სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ აცრილი კოვიდინფიცირებული ადვილად უმკლავდება ინფექციას.

– არ მეგონა, თუ ასე გართულდებოდა ჩემი მდგომარეობა. დაინფიცირების პირველ დღეებში დავკარგე მადა, საერთოდ არ მინდოდა საკვების მიღება, არც სუნის და გემოს შეგრძნება მქონდა და ახლაც, 23-ე დღეა, არ დამბრუნებია გემოს და სუნის შეგრძნება. ინფიცირებიდან მე-13 დღეს დამეწყო გართულება – ფილტვების ანთება, არადა, სულ მაქსიმუმ 14 დღეა თითქოს საშიში. ის დღეები თითქოს მშვიდად მიდიოდა, მაგრამ რა მოხდა მე-13 დღეს, არ ვიცი. ასე მოვხვდი საგარეჯოს „კოვიდცენტრში“. თუ არა ექიმების, განსაკუთრებით კი ექიმ ლეილა ოტიაშვილის თავდადება, მაღალი პროფესიონალიზმი, ყურადღება, თბილი მოპყრობა, ალბათ ასე ადვილად ვერ დავძლევდი ამ დღეების სიმძიმეს, – მეუბნება 64 წლის ქალბატონი მანანა. – ახლა მალე გამწერენ სახლში, გავალ, დაველოდები და ოპტიმალურ ვადებში გავიკეთებ აცრას, ან ამდენ ხანს რას ველოდებოდი, არ ვიცი...

მართლაც, რას ველოდებით?! ამ უკანასკნელ ხანს საგარეჯოში და არა მარტო ეს პატარა ქალაქი, ჩვენს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებიც ისეთ ადამიანებს დაემშვიდობნენ, რომლებმაც კოვიდინფექციასთან დამარცხების გამო იმიერ სამყაროში გადაინაცვლეს. გულისტკივილი იმითაცაა ღრმა და ტკივილიანი, რომ ვერ ვახერხებთ გარდაცვლილებთან გამომშვიდობებას, ჭირისუფლების ნუგეშისცემას, ისევ ინფექციის გავრცელების საშიშროების გამო.

***აცრაა ერთადერთი საშუალება, დამცავი მექანიზმი, რომელიც შეაჩერებს საუკუნის იმ საშინელ დაავადებას, რომელსაც ჩვენთვის საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლე მიაქვს.***



# როგორაა დაცული

## „covid-19“-ის საწინააღმდეგო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში



***21-ე საუკუნის** კაცობრიობის უსასტიკესი და უხილავი მტერი – კოვიდინფექცია დაუნდობლად ანადგურებს და გამოუსწორებელ ზარალს აყენებს ადამიანებს, პირველ რიგში კი საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ქართული ტელეარხებითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ყოველდღიურად ვრცელდება ჩვენს ქვეყანაში ასეულობით ახლად დაავადებულთა თუ პანდემიის შედეგად ათეულობით დაღუპული ადამიანის სტატისტიკა. სამწუხაროდ, მათ რიცხვში უკვე ბავშვები და მოზარდებიც არიან. აქედან, გასაგებია, თუ რა როლი და მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებსა თუ სკოლამდელ დაწესებულებებში იმ რეგულაციებისა და რეკომენდაციების დაცვას, რასაც ქვეყნის ჯანდაცვისა და სხვა შესაბამისი უწყებები უყენებენ მათ. კერძოდ, თუ როგორაა დაცული ეს წესები მუნიციპალიტეტში, ამის შესახებ გვესაუბრება საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი ქ-ნი **მანანა ცუცქირიძე.***

– კოვიდ-19 პანდემიის წინააღმდეგ მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა რეგულარულად ახორციელებს პანდემიის საწინააღმდეგო რეკომენდაციებს და რეგულაციებს, – ***განაცხადა მან ჩვენთან საუბარში,*** – დაცულია სათანადო დისტანცია, სკოლის ყველა მოსწავლე, პედაგოგი თუ თანამშრომელი ატარებს პირბადეს (პირბადეების მარაგს გვაწვდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო). სკოლების შესასვლელებსა და ფოიეებში ხორციელდება თერმოსკრინინგი. აქვე განთავსებულია დეზობარიერები, სანიტაიზერები სადეზინფაქციო ხსნარებით, რითაც გარედან შემოსული ნებისმიერი პირი იმუშავებს ხელებს. ყველა სკოლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან რეგულარულად მარაგდება სადეზინფექციო ხსნარებით. ეს ხსნარები სპეციალური სათავსოებით განთავსებულია სკოლების დერეფნებსა და სხვა ნებისმიერ სივრცეში ხელის სანიტაიზერებით.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ მიუხედავად პანდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა, ზოგიერთ სკოლებში მაინც აქვს ადგილი პედაგოგთა და მოსწავლეთა დაინფიცირების შემთხვევებს...***

– ქვეყანაში კოვიდსტატისტიკიდან გამომდინარე, ეს ალბათ არცაა გასაკვირი. რაც შეეხება სკოლებში დაინფიცირების შემთხვევებს, ეს სტატისტიკა ყოველდღიურად იცვლება. სულ კი წლის დაწყებიდან 22 ნოემბრის ჩათვლით კოვიდინფექცია დაუდასტურდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 21 მასწავლებელსა და 34 მოსწავლეს.

***– დაინფიცირების აღმოჩენის შემთხვევაში რა პრევენციული ღონისძიებები ტარდება სკოლებში და თქვენს მიერ?***

– იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლასში ინფიცირებულთა რაოდენობა მაღალია, კლასი გადაგვყავს დისტანციურ სწავლებაზე, მხოლოდ 2 კვირის განმავლობაში, შემდეგ კი ისევ უბრუნდება კონტაქტურ სწავლებას. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო დაწესებულებებში ინფიცირებულთა საერთო რაოდენობა გადააჭარბებს რეგულაციებით განსაზღვრულ ნორმას, სკოლა გადადის ონლაინ სწავლებაზე. სულ მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის მხოლოდ 3 საჯარო სკოლას მოუწია მოცემული რეგულაციების მიხედვით ონლაინ სწავლებაზე გადასვლა ორკვირიანი ვადით, ჩვენ, ყველა, ვისაც მუნიციპალიტეტში მოსწავლე-ახალგაზდობის სწავლა-აღზრდა და ამავდროულად, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა გვავალია, მომავალშიც ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ვიხმართ, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავსი შემთხვევები და ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას შევუქმნათ კოვიდ ინფექციისაგან უსაფრთხო სასწავლო გარემო.



# გახსენება

## მირცხულავა იოსები (კოლია) გიორგის ძე

***(დიდი სამამულო ომის 1941-1945წწ. ვეტერანი)***

**ცხრამეტი** ოქტომბერი დიდი მწუხარების დღეა ჩემთვის. ამ დღეს, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, სრულიად ჯანმრთელი და ენერგიული წახვედი ჩემგან. ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა. ჩემს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული სასუფეველი.

***შენი შვილი –***

*ნათელა მირცხულავა*

# მართლმადიდებლობა
## 23 ნოემბერს გიორგობაა



**მართლმადიდებლური** ეკლესია წმიდა გიორგის ხსენებას ორჯერ დღესასწაულობს: 23 აპრილს (6 მაისს) – წმიდანის აღსრულების დღეს და 10 (23) ნოემბერს – მისი ბორბალზე წამების დღეს.

"წმიდა მთავარმოწამე გიორგი მოღვაწეობდა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს, მესამე საუკუნის ბოლოს და მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში.

წმიდა გიორგის ეპოქა შეეჯახება ორ დიდ სარწმუნოებას, კერძოდ, კერპთაყვანისცემლობას და მართლმადიდებლობას, რა დროსაც მოწამეს უხდება აღიაროს საჯაროდ ქრისტე, რომლის გამოც არაერთ განსაცდელს შეამთხვევენ მას.

დიდმოწამე გიორგი რომის არმიაში წარჩინებული მხედართმთავარია, დიდი ავტორიტეტის და გავლენის მქონე. დიოკლიტიანე მას დამატებით სამეფოს ნახევარს სთავაზობს, ოღონდ გიორგიმ დათმოს მისი სარწმუნოება – ქრისტე.

რისთვისაც მოწამე, გიორგი პასუხობს: "ჩემთვის ცხოვრებაა ქრისტე და სიკვდილი შესაძინელ". ანუ მოწამემ უშიშრად აღიარა ჭეშმარიტება და თქვა, რომ ქრისტიანობა მისი ცხოვრების წესია, რომ უნდა განაშოროს იგი ქრისტეს სარწმუნოებას, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს: "რამ განმაშოროს ქრისტეს ჭირმან, ანუ იწროებამან, შიშმან ანუ დევნულებამან,"და ახოვანმა მოღვაწემ თავი მიუშვირა ჯალათის მახვილს.

არაერთი წამების მოწმე გახდა წმიდანი, ხან ურმის თვალზე დააკრეს, ხან გავარვარებულ კირის ღუმელში მოათავსეს, ხან რკინის ჩექმები ჩააცვეს, რომელშიც წვერწამახვილებული ლურსმნები იყო დამაგრებული, რათა დაჩხვლეტოდა ფეხები და ისე არბენინეს. მაგრამ ყოველი წამების დროს წმინდანს თავად ქრისტე აძლიერებდა და სასწაულებრივად განკურნავდა.

დიოკლეტიანეს უმთავრესმა ქურუმმა გრძნეულმა ხერხს მიმართა და მეფე დიოკლეტიანეს სთხოვა ებრძანებინა წმინდანისათვის მკვდრის გაცოცხლება, წმიდანმა კი ქრისტესადმი ლოცვით აღადგინა მკვდარი.

წმიდა გიორგის მთელი მსოფლიო სცემს თაყვანს მაგრამ წლის განმავლობაში 23 ნოემბერს და 6 მაისს მხოლოდ საქართველოს მართლამდიდებლური ეკლესია აღნიშნავს.

ეს მეტყველებს იმაზეც, რომ საქართველოში წმინდანს განსაკუთრებით სცემენ თაყვანს.

23 ნოემბერს მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესია წმიდანის ბორბალზე წამებას აღნიშნავს, 6 მაისს კი მისი თავის კვეთას მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს. საქართველოში რომ განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებენ წმინდანს ეს XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებიდანაც ჩანს. "არა არს საქართველოში არცა მთანი და არცა მაღალნი ბორცვნი სადაცა არ იყოს ტაძარნი ანუ ნიშანი წმიდისა გივარგისანი"."

წმიდანის წამების შემდეგ, როდესაც მან სული უფალს შეავედრა, ერთ ქალაქში, რომელსაც ლასია ეწოდებოდა, მეფობდა სელინოსი, რომელიც იყო უკეთური, კერპთმსახური, ულმობელი ქრისტიანების მიმართ. მეფე სელინოსს მშვენიერი ასული ჰყავდა.

ქალაქს პატარა ტბა ჰქონდა. ტბის მახლობლად ურჩხული ბინადრობდა, მეფემ მოიწვია ქალაქის მთავრები და ხალხთან კრება გამართა. გადაწყვიტეს, ყოველ წელიწადს თითო ოჯახიდან ასული მიეცათ ურჩხულისათვის და ასეც მოხდა. მრავალმა ადამიანმა გაიმეტა მისი ერთადერთი ასული ურჩხულისათვის, რომ მას ქალაქი არ დაენგრია. ბოლოს მეფის ასულზეც მიდგა ჯერი და როდესაც შეწუხებულმა მეფემ ტირილით გააცილა ტბისკენ მისი მშვენიერი ასული, რათა ურჩხული დაუფლებოდა მას, ტბიდან თეთრი ცხენოსანი ჭაბუკი გამოვიდა ლამაზად აღკაზმული მხედარი, რომელსაც თოკით შეკრული ურჩხული წყლიდან გამოყვა და ჭაბუკმა თოკი ასულს გაუწოდა რათა დამარცხებული ურჩხული თავად ასულს მიეყვანა ქალაქში, ხალხის საჩვენებლად და ჭაბუკი გაუჩინარდა. როდესაც მეფემ დაინახა ქალიშვილი დამარცხებულ ურჩხულთან ერთად გაოცებამ შეიპყრო იგი და მთელი ქალაქი. ხოლო როდესაც დაიწყეს ძებნა იმ ახოვანი ჭაბუკისა, რომელსაც ეს დიდი გმირობა ჩაედინა, მაშინ ერთ-ერთი ქრისტიანული ტაძრის ფრესკაზე ამოიცნეს ის ჭაბუკი, წმიდა გიორგი.

წმიდა გიორგის წმინდა ნაწილები სხვადასხვა ქალაქში არის შემონახული, მაგრამ მუხლის ნაწილი წლების განმავლობაში ინახებოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში, ხოლო როდესაც წმინდა სამების საკათედრო ტაძარი იკურთხა, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით მუხლის ნაწილი სამებაში იქნა დაბრძანებული. საგულისხმოა წმინდა გიორგის უკანასკნელი ლოცვა ქრისტესადმი, იგივე თხოვნა და ანდერძი, სადაც ის მაცხოვარს თხოვს: "შემხებელი ჩემს ნაწილზე, სარწმუნოებით განკურნე და თითოეული ნაწილი ძვლისა ჩემისანი ჰკურნავდეს სარწმუნოებით შემხებელ სნეულს". და ეს მართლაც, რომ ასე ხდება. მრავალი ადამიანი განკურნებულა წმინდანის ნაწილთა შეხებით.

ღმერთმა წმიდა გიორგის მეოხებით დაიცვას და დაიფაროს სრულიად საქართველო ამინ!

*ჟურნალი „ამბიონი"*
***2020წ***

## მშობლები შვილების შესახებ
# შვილები ახალი გამოწვევების წინაშე

***გიორგი** ლალიაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ ამა წლის დასაწყისში დაინიშნა. მანამდე საკმაოდ საპასუხისმგებლო სამსახურში ნამუშევარს ორიოდე დღე დასჭირდა მუნიციპალიტეტში არსებული 10 თემისა და საერთოდ 44 სოფლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა შეესწავლა, ამასთან განათლების, კულტურის, სპორტის სფეროების სტრუქტურასა და შინაგანაწესში დიდწილად გათვითცნობიერებულიყო და ყოველგვარი „ხმაურისა" და ზედმეტობების გარეშე დაიწყო იმ საკითხების ღრმად შესწავლა და გადაჭრის გზების ძიება, რომელიც შემდეგ ერთობლივად უნდა მოგვარებულიყო... ნაბიჯ-ნაბიჯ, მართლაც მოგვარდა მთელი რიგი საკითხები, ამასთან ერთად ხშირად უხდებოდა მოქალაქეების მიღება, მათი მოსმენა... ყველაფერ ამას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი არჩევნებიც დაერთო, მაგრამ მისი სამუშაო ოთახის კარი არასოდეს გამოკეტილა მოქალქეებისთვის და არც სამუშაო რიტმი შენელებულა მერიაში, პოლიტიკურად იმ ცხელ დღეებში უამრავი კარგი საქმე დაჩქარდა, ტემპი არ შენელებულა და ბევრი რამ გაკეთდა მუნიციპალიტეტის სოფლებსა თუ ქალაქში, მიუხედავად მოსალოდნელი არჩევნების წინა პერიოდის ვნებათაღელვისა.*



– წესრიგი, დღის წესრიგის ნომერ პირველი საკითხების წინა პლანზე წამოწევა, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა ჯერ საკუთარი თავის მიმართ და შემდეგ გვერდითმყოფთათვის, ეს ჯერ კიდევ სტუდენტობიდან მოჰყვება, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი იყო, – ***მეუბნება გიორგის მამა გივი ლალიაშვილი,*** – იმ პერიოდში მესამე კურსიდან საქართველოს მაშინდელმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა სტაჟიორად წაიყვანა, კახეთის მხარეში პროკურორის



მოადგილედ წაიყვანა, შემდეგ საგარეჯოში გადმოიყვანეს რაიონის პროკურორად. ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის თითოეულ სამუშაო დღეს.

***– ეს ხასიათი ალბათ თქვენ, როგორც მკაცრმა მშობელმა – მამამ ჩამოაყალიბეთ მასში?***

– არა, ასე არ ყოფილა, მე არასოდეს ვყოფილვარ მკაცრი მამა, რადგან საამისო მიზეზს არც გიორგი და არც მასზე ერთი წლით უმცროსი იოსები მაძლევდნენ და რატომ? მათმა დედამ, ჩემმა მეუღლემ გულიკო ოკინაშვილმა დიასახლისობა, შვილების აღზრდა ირჩია და თუ სიმკაცრე და ლმობიერობა იყო საჭირო, ის შვილების გვერდით იყო ყოველთვის, რადგან მე საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკაში ვმუშაობდი ზოოტექნიკოსად, ის სამსახური ჩემი ცხოვრების 25 წელიწადს მოიცავდა... ეს იყო პოსტი, რომელიც დღე-ღამეში 20 საათს, კვირაში 6-7 დღეს ითხოვდა. ჩვენი ფაბრიკა მოწინავე იყო არა მარტო რესპუბლიკაში. საქმე იმაშია, რომ ჩემი ორივე შვილი თავად იყვნენ პიროვნებები, რომლებმაც კარგად იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა მათთვის მინდობილი საპატიო საქმიანობა . გიორგის ძმაც, იოსები დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს საგამომძიებლო განყოფილების უფროსია, ადრე ქვემო ქართლის მხარის პროკურორი იყო... დიახ, ისინი ძირითადად დედამ აღზარდა და გაზარდა, რომელმაც ორიოდე წლის წინ დაგვტოვა და მარადისობაში გადაინაცვლა... აღზრდაზე და ადამიანებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა იმანაც, რომ ჩვენ თბილისში ვცხოვრობდით, მაგრამ პატარძეულში, ფუძე და კვირა არ გაგვიციებია, კავშირები გვქონდა საგარეჯოსთანაც.

***– მეფრინველეობის ფაბრიკის შემდეგ ერთ-ერთი სოფლის გამგებლადაც მუშაობდით...***

– კი, სოფელ სათაფლეს გამგებელი ვიყავი. ეს სულ ახლახანს იყო... იქ 8 წელი გავატარე, ახლა მართალ, „ნამდვილ პენსიაზე" ვარ.

***– ალბათ შვილიშვილებისთვისაც მოიცლიდით...***

– კი, მოსაფერებლად, თუმცა გიორგის ყოველთვის აქვს შვილებისთვის გამონახული დრო, ცდილობს დღის გარკვეული პერიოდი შვილებთან ურთიერთობაც მოასწროს. ზურას, ირაკლის, მარიამს მამის ყურადრებაც სჭირდებათ, რადგან გიორგის მეუღლე – ხათუნა ქვლივიძე საგარეჯოს IV საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია.

***– გიორგის ჰობის შესახებ რას გვეტყვით?***

– გიორგის ძალიან უყვარს მეგობრები და მათთან ერთად ნადირობა. ნადირობა მისთვის განტვირთვაცაა და ინტერესიც. თუმცა,ახლა ვფიქრობ, რაც მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის პოსტი დაიკავა, მას შემდეგ აღარც ყოფილა სანადიროდ, ვერც ახლა მოიცლის, რადგან ახალი, ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე – უამრავი პროექტებია განსახორციელებელი – ინფრასტრუქტურული თუ სოფლის მეურნეობის დარგში

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში".
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru